

შრომის უსაფრთხოების გამოწვევები „კოვიდ-19“ პანდემიის პირობებში

ნანა ზაზაძე

ეკონომიკის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ავილირებული ასოცირებული პროფესორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებლის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში განხილულია 2020 წლის გლობალური კრიზისის შედეგები, რაც უკავშირდება Covid-19 ვირუსით გამოწვეულ პანდემიას, კორონავირუსის უარყოფით გავლენას მსოფლიო ეკონომიკაზე და, ცხადია, საქართველოს ეკონომიკაზეც. მოცემულ სიტუაციაში რთულია არჩევანი გააკეთო საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და ეკონომიკურ ფაქტორებს შორის. ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის საზოგადოების ჯანმრთელობა მთავარი პრიორიტეტია, განვითარებადი ქვეყნები კი ცდილობენ არჩევანის გაკეთებას პოლიტიკის, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინტერესებს შორის. აუცილებლობა მოითხოვდა პანდემიის რეგულირება შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების საერთაშორისო რეგულაციებით მომხდარიყო.

განხილულია ის ფაქტორები, რომელმაც გლობალური პანდემიის პირობებში

უდიდესი გავლენა იქონია საკვანძო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და ამით საფრთხე შეუქმნა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: Covid-19 პანდემია, გლობალური კრიზისი, შრომის უსაფრთხოება, სოციალური უსაფრთხოება, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები.

1. შესავალი

2020 წელი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 11 მარტს პანდემია გამოაცხადა, რაც უკავშირდება COVID-19-ის, იგივე კორონავირუსის აფეთქებას. აღნიშნულმა ფაქტმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია მსოფლიო მასშტაბით და არცაა გასაკვირი, რომ დღეს მსოფლიო კაცობრიობა COVID-19-ის წინააღმდეგ იბრძვის. COVID-19-ით გამოწვეული პანდემია მთელი მსოფლიოსთვის საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ, ურთულეს მოვლენად და უმნიშვნელოვანეს გამოწვევად იქცა. უცნობი, აგრესიული ვირუსული ინფექციის სწრაფმა გავრცელებამ და დადასტურებული შემთხვევების ყოველდღიურმა ზრდამ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში გლობალური პრობლემები გამოიწვია. ყოველდღიურად დაღუპული ათასობით ადამიანი, ჩაკეტილი სახმელეთო და საჰაერო საზღვრები, გაუქმებული ფრენები, დახურული ქარხნები და საწარმოები, უმუშევრად დარჩენილი მილიონობით ადამიანი. ეს არასრული ჩამონათვალია იმ რეალობისა, რაც დღევანდელ სამყაროში COVID-19-მა განაპირობა.

2. ძირითადი ნაწილი

დღეს, Covid-19-ით გამოწვეული პანდემია თანამედროვე მსოფლიოსთვის საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ურთულეს მოვლენად და უმნიშვნელოვანეს გამოწვევად იქცა. უცნობი, აგრესიული ვირუსული ინფექციის სწრაფმა გავრცელებამ, დადასტურებული შემთხვევების ყოველდღიურმა ზრდამ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში გლობალური პრობლემები გამოიწვია. COVID-19 ვირუსით გამოწვეულ მწვავე შედეგებზე მეტყველებს „www.worldometers.info“-ს მიერ მონოდეზიგნირებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც გვიჩვენებს დროის მცირე მონაკვეთში მომავალი ვირუსით გამოწვეულ მწვავე შედეგებს.[1]

სტატისტიკური ინფორმაციიდან ჩანს, რომ COVID-19 პანდემიის უპირველესი გამოწვევაა კრიზისის ჯანმრთელობის სექტორში, რამაც მკაფიოდ დაგვანახა შრომის უსაფრთხოების და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების სასწრაფოდ გატარების აუცილებლობა.

საერთაშორისო ორგანიზაციების მითითებით კორონავირუსული ინფექციის შეკავების ერთ-ერთი გზა სოციალური იზოლაცია იყო. მთელ მსოფლიოში კორონა ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად შემოღებულმა შეზღუდვებმა მოიცვა თითქმის ყველა ქვეყანა, ეკონომიკური საქმიანობის უმეტესი სფერო და მთლიანად შეცვალა საზოგადოებრივი ცხოვრების წესი. პანდემიამ შეაჩერა მთელი მსოფლიო, დატოვა ადამიანები სახლში, შენელდა სამრეწველო საქმიანობა, რამაც გლობალური ეკონომიკური ზარალი გამოიწვია და ეკონომიკური კრიზისის წინაშე დააყენა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, გამონაკლისი მათ შორის არც საქართველოა.

ვირუსულ ინფექციასთან ბრძოლის კონტექსტში ცხადი გახდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის და ქვეყნის მთავრობების მიერ თავისი ქვეყნის მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის დასახმარებლად გადაუდებელი ზომების მიღების აუცილებლობა.

საერთაშორისო ორგანიზაცია ILO-მ გამოსცა სახელმძღვანელო „COVID-19 პანდემია“, სადაც პანდემიის პირობებში შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, საგანგებო სიტუაციებში რისკების მართვის და თავდაცვის ზომებია აღწერილი. საქართველომ, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით მთელი რიგი საგანგებო ღონისძიებები გაატარა.[2] საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა და გამოსცა ბრძანება „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“. დოკუმენტში განხილულია სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და დამსაქმებლისა და დასაქმებულის ვალდებულებები. [3] თუმცა, მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, ქვეყნები, პანდემიის პირობებში, საჭირო ფინანსური და შრომითი რესურსების მობილიზებაში არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რამაც მათი ეკონომიკა ჩიხში მოაქცია და გაჩნდა გლობალური ეკონომიკური კრიზისის განვითარების საფრთხე. პანდემიამ ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ეკონომიკური სტრუქტურისა და არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რყევა ზოგიერთ ქვეყანაში უფრო მძლავრი აღმოჩნდა, ზოგში კი ნაკლები.

საქართველოში, კრიზისი განსაკუთრებული სიმწვავეით იგრძნო მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, რაც გამოწვეული იყო შემოსავლების შემცირებით ტურიზმის სერვისის სექტორსა და ფულადად გამომრიცხველებზე დამოკიდებულების გამო, აქვე, უნდა აღვნიშნო, რომ ეკონომიკური რყევების სიმძიმეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად განსაზღვრავს ისიც, თუ რამდენად იყო მზად მოცემული ქვეყანა მსგავსი მასშტაბის პანდემიისთვის, მიუხედავად იმისა, რომ შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა ყველა ქვეყნისთვის ერთნაირად მნიშვნე-

ლოვანია. მოცემული საკითხის შესწავლისთვის სასურველია შრომის უსაფრთხოების სექტორის მიმდინარე გამოწვევები და ამ გამოწვევების საპასუხოდ გატარებული ღონისძიებები განვიხილოთ, როგორც საერთაშორისო ქვეყნების, ისე საქართველოს მაგალითზე.

მიმდინარე პროცესებმა გვაჩვენა, რომ პანდემიასთან ბრძოლა საკმაოდ რთული აღმოჩნდა განვითარებული ქვეყნებისთვისაც. მაგალითად, იტალიაში სამედიცინო პერსონალს შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევით, კერძოდ კი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მოუწიათ ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლა, რის გამოც სამედიცინო პერსონალის გარკვეული ნაწილი კორონა ვირუსით დაინფიცირდა, ნაწილი კი გარდაიცვალა.

ანალოგიური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთიც. მთავრობამ, მათმა მრჩეველებმა, ჯანმრთელობის უსაფრთხოებისა და სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოებმა ყურადღება არ მიაქციეს COVID-19 პანდემიის გამაფრთხილებელ ნიშნებს, მათ მიერ გამოტოვებული იქნა იმ შესაძლებლობების კომბინაცია, რამაც ევროპის მასშტაბით დიდ ბრიტანეთში ყველაზე მეტი დასაქმებულის დაავადება და გარდაცვალება გამოიწვია, მიუხედავად მოსალოდნელი საშიშროების შესახებ სამხრეთ კორეის, ჩინეთისა და იტალიის გაფრთხილებისა. პანდემიის გავრცელების საწყის ეტაპზე სამედიცინო და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მომუშავე ადამიანთა უსაფრთხოება, რომლებიც Covid-19-ის რისკის ქვეშ იმყოფებოდნენ დავიწყებული იყო, ვინაიდან დიდი ბრიტანეთისა და შოტლანდიის მთავრობებმა დასაწყისშივე დააიგნორეს მსოფლიო ორგანიზაციების (WHO, ILO)* მიერ რეკომენდებული პანდემიის შეჩერების გზები და პრევენციის მეთოდები და არჩიეს, რომ ყველანაირი მზადების გარეშე დახვედროდნენ პანდემიას. [4]

* **WHO (World health organisation) – მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია**

* **ILO(International labour organisation) – შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია**

უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე საქართველომ პანდემიის მართვა საგანგებო მდგომარეობის მენეჯმენტის ცენტრალიზებით განახორციელა, რამაც ქვეყანა კოლაფსისაგან იხსნა. ის ქვეყნები კი, რომლებმაც პანდემია მართეს არაცენტრალიზებულად-სხვადასხვა ღონის მთავრობის განსხვავებული მიდგომებით, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

მიუხედავად საქართველოში გატარებული ღონისძიებებისა, პანდემიამ აქაც ნათლად წარმოაჩინა, რომ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა დასაქმების ადგილზე დიდი გამოწვევა იყო, დამსაქმებლები უმეტესად თავს არიდებდნენ უსაფრთხოების ნორმების შესაბამის დაცვას. მაგალითისთვის, დაინფიცირდა 144 მეშახტი, 39 სოციალური აგენტი, რესპონდენტი, ქვეყანაში 4000-ზე მეტი სამედიცინო პერსონალია დაინფიცირებული. მიმდინარე წლის 14 ოქტომბერის მონაცემებით დაინფიცირებული თანამშრომლების რიცხვი 116-მდე გაიზარდა, შრომის ინსპექციის მიერ დაჯარიმდა „კარფური, ვილმარტი, იალჩინი და სხვა მარკეტები„. [6]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.1%-ით შემცირდა. 2020 წლის დეკემბერში კი, 2019 წლის დეკემბერთან შედარებით, კლება 7.8% იყო. მეოთხე კვარტლის საშუალო კლებამ კი 6.5% შეადგინა.

2020 წლისთვის საქართველოს მთავრობა 5%-იან ეკონომიკურ კლებას პროგნოზირებდა, რომელიც დღეს გამოქვეყნებულ წინასწარ მაჩვენებელს 1.1% პუნქტით ჩამორჩება. 2021 წლისთვის საქართველოს მთავრობა 4.3%-იან ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებს.[5] იხილეთ გრაფიკი 1.

გრაფიკი 1. საქართველოს 2020 წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები



მონაცემთა წყარო: საქსტატი

სამუშაო ადგილების მუშაკთა მიერ სოციალური დაშორების უსაფრთხოების ზომამ უზარმაზარი დანაკარგები გამოიწვია. 2020 წლის 4 დეკემბრის მონაცემებით, COVID-19 ინფექციით დაავადებულთა საერთო რაოდენობამ მსოფლიოში შეადგინა 65,964,393, საიდანაც გამოჯანმრთელდა 45,659,637 (69%), ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობა – 1,519,448 (2,3%). გარდაცვლილთა რიცხვი ძალზე დამახინჯებულია, თუ გავითვალისწინებთ სიტუაციას მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების ნაწილში. მაგალითად, შეერთებულ შტატებში COVID-19 ინფექციის შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობამ შეადგინა 283 958 ადამიანი, ანუ ადამიანთა 1,9%, ხოლო რუსეთში – 42 176, ანუ ინფიცირებულთა სიკვდილიანობის 1,7%. ზოგიერთ ქვეყანაში ინფექციები იშვიათია და არ არსებობს სიკვდილიანობა (ვატიკანი, მონღოლეთი, ფარერის კუნძულები, გრენლანდია და ა.შ.) [1].

საქართველოში ჩატარებული კვლევების თანახმად, 2020 წლის ბოლოს შემცირდება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 83%-ით, სერვისის სექტორის შემოსავლები – 19%-ით და ფულადი გზავნილები კი -10%-ით.[8] რამაც გამოიწვია დამატებით საგარეო ვალის მოძიების წინაპირობა. 2020 წლის მე-2 კვარტალში, 2019 წლის მე-2 კვარტალთან შედარებით, უმუშევართა რაოდენობა 15 600 ადამიანით გაიზარდა, რაც უმუშევრობის 0,9%-იან ზრდას ნიშნავს, აქედან 89%-ს ქალები შეადგენდნენ. ILO-ს თანახმად, 2020 წლის ბოლოსთვის საქართველოში დაახლოებით 284-იდან 360 ათასამდე ადამიანი დარჩება უმუშევარი, ხოლო 2021 წლისთვის ეს ციფრი 363,8 ათას ადამიანს გაუტოლდება.[8]. ILO ვარაუდობს, რომ 2021 წლისთვის 100 000 თვითდასაქმებული დაკარგავს სამსახურს და, შესაბამისად, შემოსავალსაც.[9]. დაახლოებით მსგავს პროგნოზებს აკეთებს ISET-ის მიერ მომზადებული კვლევა, რომელიც დასაქმების ქვესექტორულ მონაცემებს ეყრდნობა. ამ კვლევის თანახმად, COVID 19-ის შედეგად დაქირავებულებს შორის 30%-ს ემუქრებოდა სამსახურის დაკარგვის მაღალი რისკი, ხოლო თვითდასაქმებულებს შორის 15%-ს. ეს ჯამურად დაახლოებით 380 ათასი დასაქმებულის ტოლია. UNICEF-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, COVID 19-ის შედეგად დამდგარი ეკონომიკური კრიზისის გამო საქართველოში ბავშვთა სიღარიბე, საუკეთესო შემთხვევაში 31%-მდე გაიზარდება, ყველაზე ცუდ შემთხვევაში კი – 38 პროცენტამდე. იმავე კვლევის მიხედვით, „კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული შოკის შედეგად, მოსალოდნელია მოსახლეობის სიღარიბის დონის (166 ლარი თვეში ზრდასრულ პირზე) 21.7 %-დან 24 %-მდე ზრდა დაბალი შოკის შემთხვევაში, საშუალო შოკის შემთხვევაში – 26%-მდე, ხოლო ძლიერი შოკის შემთხვევაში 30.9%-მდე.“ გაიზარდა სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობაც. აგვისტოში საარსებო შემწეობა მიიღო თითქმის ნახევარმა მილიონმა (493 088) მოქალაქემ, რაც

ნიშნავს, რომ სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა 2020 წელს 14%-ით გაიზარდა. სიღარიბის მკვეთრი და მყისიერი ზრდა მოულოდნელი არ ყოფილა იმ პირობებში, როცა მოსახლეობის 88%-ს გამოკითხვის მიხედვით დანაზოგი არ აქვს, ხოლო 65% 2020 წლის ივლისში ჩატარებულ გამოკითხვაში უთითებდა, რომ ფული ოჯახის საკვებით უზრუნველსაყოფად მაქსიმუმ ერთი თვე ეყოფა. სამწუხაროდ, სოციალური დაცვის არსებული სისტემა ამ გამოწვევებისთვის ეფექტურად საპასუხოდ, მზად არ აღმოჩნდა. [6]

3. დასკვნა:

COVID-19, რომელიც მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანაში გავრცელდა, უზარმაზარი ნეგატიური შედეგებით აისახა ცალკეული ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე. ამკარაა, რომ მთავრობების მიერ დანესებული შემზღუდველი ზომები ბიზნესის საქმიანობაზე, გადაადგილებებზე, საზღვრების დახურვასა და ბიზნესის დახურვაზე დიდ ეკონომიკურ ზიანს აყენებს სხვადასხვა ქვეყანას და აქედან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ პანდემიასთან დაკავშირებული რეცესიული პროცესი დიდხანს გაგრძელდეს.[10] გატარებულმა უსაფრთხოების ზომებმა, რაც სამუშაო ადგილებთან მუშაკთა სოციალურ დისტანციას ითვალისწინებდა, უზარმაზარი დანაკარგები გამოიწვია. ეს განსაკუთრებით მწვავედ აისახა მომსახურების სექტორზე. დამსაქმებლები იძულებულნი გახდნენ შეემცირებინათ თავიანთი ხარჯები და შეენარჩუნებინათ სამუშაო ძალა სოციალური დისტანცირების შესაბამისად, ხოლო რაც შეეხება მრეწველობის სექტორს, აქ მუშები სამსახურის დაკარგვის უფრო მაღალი რისკის წინაშე დადგნენ. ძნელია ზუსტად განისაზღვროს გლობალური პანდემიის ყველა შესაძლო რისკი და მოსალოდნელი შედეგი, თუნდაც ის, თუ როგორი იქნება ადამიანების რეაქცია მომავალში?!

პანდემიამ შეაჩერა მთელი მსოფლიო, უამრავი ადამიანი დატოვა სახლში, გამოიწვია გლობალური კრიზისი და მაინც რჩება კითხვა: ხომ არ მოძველდა მსოფლიო ეკონომიკის ამჟამინდელი მოდელი და ვერ პასუხობს 21-ე საუკუნის გამოწვევებს.

ლიტერატურა:

1. Worldometers 2020.
URL: <https://www.worldometers.info/coronavirus/#countries> (დამონმებულია: 05.12.2020).
2. ანა დიაკონიძე, შრომა და სოციალური უსაფრთხოება ახალი კორონავირუსის პანდემიის პერიოდში, რეკომენდაციების პაკეტი საქართველოს მთავრობისთვის, 04.04.2020. /[https://osgf.ge/wp-content/uploads/2020/04/Laborand-Social-Security-during COVID19-Policy-Brief-OSGF.pdf](https://osgf.ge/wp-content/uploads/2020/04/Laborand-Social-Security-during-COVID19-Policy-Brief-OSGF.pdf)
3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, 2020.
<https://www.moh.gov.ge/ka/> (დამონმებულია: 04.12. 2020)
4. Watterson, A. COVID-19 in the UK and occupational health and safety – predictable but not inevitable failures: what can we do now? Technical Report, University of Stirling, Number 29, April 7, <https://bit.ly/Covid-2y0pWGk> (2020, accessed 14 May 2020).
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
<https://www.geostat.ge/ka/> (დამონმებულია: 4 დეკემბერი 2020)
6. შრომითი ურთიერთობები და სოციალური დაცვა პანდემიის დროს, საქართველოს შესახებ ანგარიში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), გვ.19-20., 2020.
[/https://osgf.ge/wp-content/uploads/2020/12/Labor-Relations-geo-10-12-2020.pdf](https://osgf.ge/wp-content/uploads/2020/12/Labor-Relations-geo-10-12-2020.pdf)
7. Macro Insights: Fiscal Bridging to Further Recovery. TBC. August 2020
8. World Employment and Social Outlook, Trends 2020, ILO
9. World Employment and Social Outlook, Trends 2020, ILO
10. Baker S. R., et al. (2020). The unprecedented stock market reaction to COVID-19 // The Review of Asset Pricing Studies, raaa008. <https://doi.org/10.1093/rapstu/raaa008>